1913

ბავშვი

ყველაფერი
ბავშვისა

მცირე წლოვანთათვის

მარტი

№ 5

ნაკადული

წელიწადი მე-IX. № 5. მარტი, 1913 წ.

პატარა მხატვარი.

შინაარსი:

I—პატარა მხატვარი,—სურათი. 1

II—ლაიპირეს ბერი მელა,—დექსი შიო მღვიმელისა . 3

III—უმკროსი,—ი. ევდოშვილისა 5

IV—წითელი ვაშლი,—დეო იმნაძისა 12

V—ზაზუნა,—(თარგმანი) ივ. როსტომაშვილისა. . . 17

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაბაევის ზესახვევი № 1.

დაიჭირეს ბერი მელა.



აიჭირეს ბერი მელა,
თეთრი ფიფქი თოვლივითა,
მობღუნმული, მოკუნტული
რკალივით და რგოლივითა.

რა მიასწრეს ნაქურდალზე,
გაუყარეს თვალი თვალში,
ჰირზე ხომ არ აკოცებენ,
უნდა მისცენ სამართალში.

მელა ფიქრობს: ახლა რა ვქნა,
რა წუალს ვიცე, რადა ვთქვაო,—
ჰირი ბუმბულით მაქვს საფსე,
არ მეტუვიან: შე ჰირ-შაგო,

თავს მართლულობ კიდევ განა?
ნეტავი რა ჰირითაო?
ხომა ჭსედავ—შებურვილსარ
ვაგლახით და ჭირითაო?!



არა, ისევ სიჩუმე სჯობს
ტყვილ-უბრალო ყბედობასო;
ვაი ჩემ თავს, ვაი ჩემ ტკივს,
ვაჭ უბედოს ბედობასო!

კრუსსა ვჭამდი, რას ვერჩოდი
ამ ბაწია წიწილებსო;
ვიცი, ვიცი—სამართალი
ჩამოერჩობას ძიწილებსო,

ან არა და სათითაოდ
დამაძრობენ ბილებსაო;
რიღათი რა მოუტანო
ჩემ ცოლსა და შვილებსაო?!

—ოჰ, ძელიავ ავაზაკო,
სათარეშოდ აწყვეტილო,
რატომ სინდისს არა სჩიევ,
მართლა ნამუს—გაწყვეტილო!

ახლა ვინ რას დაგიჯერებს,
გინდა გასკდე ფიცილითა!—
ეუბნება მელას ცოცვი
მეტად მწარე სიცილითა.

შიო მღვიმელი.



უმცროსი.

(უძღვნი თამარ კარბელაშვილს).

ჩვენ არც-კი უნდა დაგვაცდიდე ხოლმე, რომ დაგსაქმოთ: ისე უნდა დაფრინავდე, როგორც ჭეჭელა; ისე უნდა დახტოდე, როგორც კურდღელი; ჩარხი უნდა იყო, ჩარხი! ჩარხივით უნდა ტრიალებდე! მაგრამ, გენაცვალოს დედა-შენი; აი, როცა მე გამიგონებ, კაი ქალიც მაშინ იქნები. გეტყვი: ჭიქა მომაწოდე,—სწრაფად უნდა მოიტანინო; კარები გაადე,—ჩიტივით უნდა წამოფრინდე!

არიგებდა დედა თავის პატარა გოგონა ქეთინოს.

— მეორეც ესა: როცა შინ არა ვარ, ჭკვიანად უნდა იყო,

კარებს არ უნდა გასცილდე, ქუჩაში არ უნდა ირბინო. უნდა გესმოდეს შენზე დიდის პატივის-ცემა, შენზე უფროსის სიტ-ყვა-დარიგება, სტუმართან თავაზიანობა;—მაშინ, გენაცვალე, მეც მეყვარები. აი ასე, აი ასე!..—ჩაკოცნა დედამ რამდენ-ჯერმე ქეთინო. ახლა-კი, ჩემო ბკვიანო, მშვიდობით, აბა კარ-გად დაიხსომე რაც გითხარ. მეც მალე დავბრუნდები ბაზრი-დან და შენ საყვარელ წითელ ვაშლებს მოგიგორებ; მაშ მშვიდობით!

— მშვიდობით, დედიჯან, მშვიდობით,—უპასუხა დარბაი-სლურად ქეთინომ და მიხურა კარები, როცა დედა გავიდა გა-რედ.

ქეთინომ მიათვალ-მოათვალიერა ოთახი, თითქოს პირველ-ადა ჭხედავს და თვალები თავის საყვარელ კუკზე შეაჩერა.

— ეი, შენ კიდევ მე უნდა მიგონებდე, იმიტომ რომ შენ ჩემზე უმცროსი ხარ! ისე უნდა დაფრინავდე, როგორც ჰეჰე-ლა; ისე უნდა დაჭხტოდე, როგორც კურდღელი, ჩარხივით უნდა ტრიალებდე. მაგრამ იქნება არცა-კი იცი ჰეჰელა რო-გორ დაფრინავს?

— არა, ღმერთმანი, არა!.. უპასუხა კუკმა და თავი აქეთ-იქით გაიქნია.

— არაა? საწყალი, საწყალი პატარა!—შეიბრალა ქეთი-ნომ და სტაცა ტიკინს ხელი: მაშ მე გასწავლი!—ანუგეშა უწ-ვრთნელი კუკი და ხელები გაუშალა:—აბა, ახლა გაფრინდი—ფრიიი... გაუშვა ხელი ქეთომ კუკს, მაგრამ წეული ტიკინი, იმის მაგიერ რომ გაფრენილიყო, ძირს ისე დაეცა, რომ მი-სი თავის ნახლეჩები აქეთ-იქით გაიფანტა.

— აი, დედა მოვა და გცემს; ჰეჰელასავით ფრენა არა გცოდნია,—თავი გაიტეხე!..—დაემუქრა ქეთინო კუკს და დე-დის მოგონებაზე მისი სიტყვებიც მოაგონდა: „როგორც კურ-დღელი, ისე უნდა დაჭხტოდეო.“

,,ვიდრე დედა მოვა, უნდა ვისწავლო კურდღელივით ხტომა, თორემ მეც გამიჯავრდება,—გაიფიქრა ქეთომ გულში:— ,,მაგრამ როგორ ხტის ხოლმე კურდღელ.? ჰო, წიგნში ასე ჭსატია, აი ასე''...—მიიდვა ორივე ხელი ქეთომ უურებთან, თითები ზევით აიშვირა კურდღლის ეურებივით, მუხლებში ჩაიხარა და ჰირველივე სკუჰი ისეთი გააკეთა, რომ ჰატარა, რგვალი მაგიდა ეირა-ეირა გადაატრიალა.

, ალბად კურდღელმაც ასე იცის, უეჭველად ასე ეცოდინება, თორემ მაგიდა არ წაიქცეოდა,'' დაიმშვიდა გული ქეთომ: ,,ჭკვიანი ქალი ვარ და! განა მე-კი არ ვიცი, რომ ასე ეცოდინება' აი, დედამაც სომ მითხრა: ,,მშვიდობით, ჩემო ჭკვიანოო.'' მაგრამ მე გამიგონია, ვითომც ჭკვიანი კაცები სულ სწერენ და სწერენ. როგორ გაუხარდება დედაჩემს, როდესაც მაგიდაზე ენახავს კალმით ხელში გამოჭიმულს, შუბლზე თით-მიდებულს და შუბლ-შეჭმუხვნილს: ერთი სიტუვით— როგორც ჭკვიანმა კაცებმა იციან.''

ქეთინო მართლაც რომ ხელად დ-ჭკვიანდა. მაგრამ ის ოხერი კალამი-კი ვერ დაჭკვიანა. ხან ზევით აუქანდებოდა ქაღალდზე, ხან ქვევით ჩამოუქანდებოდა, ხან მთლად თითებში შეუძვრებოდა; ამავე დროს შუბლსაც გასინჯვა უნდოდა: იყო შეჭმუხვნილი, თუ არა. და მელანში ამოსვრილი თითები ქეთინოს შუბლზე აგლეკდა ათასნაირ ხაზებს და წერტილებს აჩნევდა.

,,მოსაწყენი-კი ეოფილა, ღმერთმანი, სიჭკვიანე!'' წაიფურჩულა ქეთინომ და მოაგონდა ისიც, რომ ჩარხივით უნდა ეტრიალნა. ,,ჩარხი... ჩარხი—ჰო, ჩარხი! მომაგონდა! მომაგონდა.'' აი, აქ არ მოდის ხოლმე ეზოში, მრგვალ ქვას რომ ატრიალებს და დანებს გვილესავს... როგორ გაუხარდება დედას, როცა გაიგებს ჩემს ჩარხივით ტრიალს!'' წაახალისა თავისი თავი ქეთომ, დაწვა იატაკზე, მოიმრგვალა ტანი ბურგალივით და გორვით შემოუარა ოთახს.

,,დედიჯაანს! რა კარგი ეოფილა ჩარხობანაა!" დაიძახა ტრიალით გულ-მოჯერებულმა ქეთომ და გაექანა კარებისაკენ, რომ დედას მიჰვებებოდა, რადგანაც გარედან ფეხის ხმა მოესმა.

— ბატარა ქალბატონი ღმერთმა მიცოცხლოოს!—დალოცა დედის მაგიერ ვილაცამ გარედან ქეთინო.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, დედა შინ არ გახლავთ, მაგრამ სტუმრის ბატივის-ცემა მაც ვიცი, ჩემზე უფროსის გაგონებაც, ჩემზე უფროსის სიტყვა-დარიგებაც მესმის, იმიტომ რომ მე უმცროსი ვარ... მაგრ!—მიაყარა ქეთინომ სტუმარს სუდი-სედ სიტყვები და თავაზიანად გაუღო კარები.

სტუმარი ადგილიდან არ იძროდა.

— მობრძანდით, ბატონო, ,ობრძანდით!—შეიბატიჟა ჯიდევ ქეთინომ.

— ბატარა ქალბატონო... მე...—ვერ მოასწრო მოხულმა სიტყვის დათავება, რადგან ქეთინომ სტაცა ჩოხის კალთაში ხელი და სასლში შეუძღვა.

— აი აქ დაბძანდით, ბატონო სტუმარო, აი აქ; ჩვენი სტუმრები ეოველთვის აქა სსედან ხოლმე...—უჩვენა ქეთინომ და მიუდგა სტუმარს საკარძელი.

— ღმერთმა ჩემი სწორი მოგეკაროს, შვილო; ღმერთმა დიდი, ძალიან დიდი გაგხარდოს და დიდხანს გაცოცხლოს!—დალოცა სტუმარმა.

— შენ ხომ დიდი ხარ, ჭა?—შეეკითხა ქეთინო.

— დიდი ვარ, მაგ, შვილო, დიდი, და ძალზედაც გადაერუებული, დაჩაჩანაკებული...

— ჭო, და დედა-ჩემმა მითხრა—შენ უმცროსი ხარ, ამიტომ შენზე დიდს უნდა გაუგონოო.

— მართალი უბრძანებია, შვილო, მართალი...

— სტუმარს თავაზიანად უნდა მოექცეო...

— სრული ჭეშმარიტებაა შვილო, სრული ჭეშმარიტება.

— სომ არას მიირთმევთ: იქნება გშიანთ?

— შეიძლება, შვილო, მაგრამ მე მერე გიახლებით, როცა დედა თქვენი მან იქნება... — უპასუხა სტუმარმა და წასვლა დაპირა.

— არა, არა, როგორ შეიძლება: დედა გამიჯავრდება; დაბრძანდით, მე ახლავე უველაფერს მოგართმევთ; დაბრძანდით, თორემ ტირილს დავიწყებ.

მართლაც ქეთინოს თვალებში ცრემლები მოერია.

მეტი ილაჯი არ იყო: სტუმარი დაემორჩილა მასპინძლის სურვილს და ისევ სკამზე დაეშვა.

ქეთო ახლა-კი მართლაც ჩარხივით დატრიალდა. გაქანდა მეორე ოთახში, საიდანაც მალე თეფშების ჩხარა-ჩხური მოისმა და მალე სტუმრის წინ გაჩნდა — ჰური, უველი, კარაქი, მწვანილი, მეხვი და სხვა... რაც-კი იპოვნა ქეთინომ განჯინაში.

— მიირთვით, მიირთვით, ბატონო სტუმარო! — სთავაზობდა ქეთინო და თან მაგიდასთან ფუსფუსებდა.

— ოო, რა გულ-კეთილი და ჭკვიანი ქალი ეოფილხარ!... — შეაქო სტუმარმა და მადიანად ჭამდა სტუმრის მოვალეობის ასრულებას.

— დიახ, ბატონო, სტუმარო: დედამაც ასე მითხრა, როცა მიდიოდა: „მშვიდობით, ჩემო ჭკვიანოო!“ — მიუგო ქეთინომ.

— მართალი უბრძანებია, — მართლაც რომ ჭკვიანი ქალი ეოფილხარ.

— დედამ ისიც მითხრა, რომ სტუმართან თავაზიანად უნდა იყოო.

— დიახ, ჩემო ბატარა ქალბატონო, სტუმარს ბატივისცემა უნდა, — მიუგო მოხუცმა და თან ძალზე ილუკმებოდა.

— მურაბას ხომ არ მიირთმევთ?—შეეკითხა სტუმრისაგან წახალისებული ქეთინო.

— არა, ჩემო პატარა ქალ-ბატონო: მურაბა რა ჩემი საქმეა, მე ჰურიც....

— იცით, ბატონო სტუმარო: მე ძალიან, ძალიან მინდა, და გთხოვთ ჩამომიღოთ — მე ვერ შევწვდები; დედა ძირს არა დროს არა სდგამს ხოლმე მურაბას; აი იქ გახლავთ—განჯინის თავზე,—წაავლო ქეთინომ სტუმარს ხელი და გაიყვანა მეორე ოთახში განჯინასთან, საიდანაც მალე გამოიტანეს მურაბა.

— თქვენ რა გქვიანთ, ბატონო სტუმარო?—შეეკითხა ქეთინო სტუმარს, როდესაც მურაბით დატვირთული კოვზი რამდენჯერმე გაგზავნა პირისაკენ.

— მე... მე, პატარა ქალბატონო, მქვიან გლახა.

— გლახაა?—გაიკვირვა ქეთინომ:—ჩვენთან ბევრნი მოდიან; დედა იტყვის ხოლმე, რომ გლახაა. აი შენსავით ჩაცმულები არიან... იმათაც ეველას გლახა ჰქვიან? შენი ძმები არიან?

— ჰო, ჩემი ძმები იქნებიან, პატარა ქალბატონო...

— ისინი იტყვიან ხოლმე, რომ გვშიანო...

— მართალი უთქვამთ: გლახებს ჰშიანთ, იმიტომ რომ...

— იცით, მე იმათ დედიჩემისაგან მოცემულ ფულს ვაჩუქებ ხოლმე; ახლა-კი არა მაქვს; სამაგიეროდ მალე დედა ბაზრიდან დაბრუნდება და წითელ ვიშლებს მოიტანს; შენ ხომ გიყვარს ვაშლები?

— გმადლობ, პატარა ქალბატონო: მე მშიოდა და გიახელი; ახლა-კი მშვიდობით, გმადლობ...—გადაუსადა სტუმარმა ქეთინოს მადლობა და წასვლა დაუპირა.

— მერე, დედამ რომ მითხრა — უმცროსი ხარ, სტუმართან თავაზიანად უნდა მოიქცეო; ღმერთმანი, როცა მიდიოდა, ასე მითხრა.

— ღმერთმა გიცოცხლოს, ჩემო პატარა მასპინძელო, კეთილი დედა!

— იცი, დედამ ისიც მითხრა, რომ ჰეჰელასავით უნდა იფრინოო...

— მერე?

— მერე ისა, რომ მე და ჩემი კუკი ერთად გავფრინდით და საძაგელმა თავი გაიტეხა,— მიუგო ქეთინომ და მიუთითა თავგატეხილ კუკზე, რომელიც იატაკზე ეგდო.

— ხა, ხა, ხა, ხა...— გულიანად გაიცინა სტუმარმა, როდესაც დახედა ძირს გაშხლართულ ტიკინს.

— დედამ ისიც მითხრა, რომ კურდღელივით უნდა დახტოდეო. საშინლად მოძეწეინა: არავინ არის, რომ ჩემთან ერთად იხტუნოს: შენ იცი კურდღელივით ხტუნვა?

— სტუმარმა თავი გაიქნია.

— აი ასე უნდა; აი ასე!..— დასტაცა ქეთინომ სტუმარს სახელოზე ხელი.

— არ შემიძლიან, არ შემიძლიან, პატარა ქალბატონო!— ემუდარებოდა გამაძღარი სტუმარი ქეთინოს.

— აი ასე, აი ასე მეთქი! შენც ჩაჯექ ჩემსავით, ჩასკუპდი: ერთი, ორი, სამი; მოძეე... სკუპ... სკუპ... სკუპ!— აიყოლია თან ქეთინომ სტუმარი სკუპ-სკუპით.

სტუმარი იცინოდა, ხითხითებდა და ძალა-უნებურად დასდევდა ხელ-ჩაგლებულ ქეთინოს სკუპ-სკუპით ოთახის ირგვლივ.

— ეს რა ამბავია, გენაცვალეთ!— დაიძახა ქეთინოს დედამ, როდესაც ოთახის კარები შემოაღო.

— არაფერია, დედიჯან! შენ არ მითხარ, რომ უმცროსი ხარ, სტუმარს პატივი უნდა სცეო, რომ კურდღელივით უნდა დახტოდეო?

დედას პირზე ღიმილი აუთამაშდა. სტუმარი და მისი მასპინძელი-კი, ოთახის კუთხეში ჩასკუპებულნი, შესცქეროდნენ მას და თვითონაც იცინოდნენ.

ი. ევდოშვილი.

წითელი ვაშლი.

ობის წინა დღის საღამოა. სოფელში ყველა ოჯახში რაღაცა ფუსფუსია; ყველა აჩქარებით ემზადება მომავალი დღესასწაულის: თვის; ყველანი შრომობენ და მხიარულობენ; სახლებიდან გოჭების ჭყვირილი და ქათმების კრიახი მოისმის.

სხვათა შორის ბექუკის ოჯახობაც გასწვეტილა საშხარეულო სახლში და საშობაო მზადებაშია: დედა ღვეძლებს აკეთებს, ბექუკი ღორს ახარიქებს [1]), დათიკო, შუბლზე ოფლდასხმული, საშობაო გოჭს ატრიალებს ცეცხლის ჰირად, ჰატარა ჰელოკი დედასთან ტრიალებს და შეუსვენებლივ ტიკტიკებს.

— ჩემი მუცლის ყეერი გაკეთე, დედიკო?

— კი, გენაცვალე, შენთვისაც გავაკეთე, დათიკოსათვისაც

[1]) სჭრის.

და ნუცასათვისაც, მოუკვდა იმას დედა: მარტო დავაგდე ოდაში; მაგრამ რა მექნა?—ძუხარებით ჩაილაპარაკა მინიკამ ნუცას სსენებაზე.

—რა გექნა, თვარა ამ ფუტში [1]) ლჩობას—იქ ეოფნა არ სჯობია?—ანუგეშა ქმარმა...

ბატარა ნუცა ახლახან ეელჭირვებით იყო ავად და ექიმმა აუკრძალა გარედ გამოსვლა.

ავადმყოფობის გამო განაზებული ნუცა, დადგრემილი ზის ბუხართან და აგუზგუზებულ ცეცხლს მისჩერებია. ცეცხლის სიმცხუნვარის გამო შეფერვანებული მისი მკრთალი ლოყები ვარდის ფრად ელვარებენ და ჭაეროვან არსებად ხდიან ცის-ფერ თვალებიან ლამაზ გოგონას... ფიქრობს ნუცა, და განა არ არის საფიქრებელი, ვიდაც ექიმის წყალობით მარტოდ-მარტო უნდა იჯდეს ამ ბატარა ოდაში, მაშინ, როცა ყველანი სამზარეულოში არიან; მაგრამ დედაც რომ გულქვა გამოდგ! არაფრის გულისათვის არ დასთანხმდა ნუკაც სამზარეულოში წაყვანა, თუმცა ბევრი ევედრა ნუცა...

ბუხრის წინ კოპწიად ჩამოჯდარა ბატარა ციცუნია, კუდი გვერდსე მოუგდია და თვალებ-დახუჭული სხეე ნაღვლიანად, თითქოს ნუცას თანაუგრძნობსო, ცეცხლისთვის მიუშტერებია... ნუცამ შეხედა ციცუნიას და, თითქოს ციცუნიაც დამნაშავე ეოფილიყოს რამეში, გაჯავრებით ჭკრა ფეხი და ძირს ჩამოაგდო... ციცუნია შეკრთა, ერთი საცოდავად დაიკნავლა, კუდ-ამოძუებული წაცუნცულდა და ცოტა მოშორებით იატაკზე გაიშლართა, თვალები კი გაკვირვებით ნუცას მიაჰქრო...

ნუცას თან-და-თან მოუსვენრობა დაეტეო: საშინლად ეხა-

---

[1]) კვამლში.

რებოდა მარტო ყოფნა... თან მოშიოდა კიდეც. სამზარეულოდან-კი ბაი-ბური არ ისმოდა: ეტეობოდა ჯერ არაფინ ფიქრობდა წამოსვლას ..

ნუცა ადგა და ფანჯარაში ცქერა დაიწყო. მშვენიერი ნათელი ღამე იყო, მთვარე არ სჩანდა; ცა, ვარსკვლავებით მოჭედილი, მედიდურად დასცქეროდა თოვლით დაფენილ დედამიწას; მშვენიერი სურათი იყო: მაგრამ ნუცას ამისთვის არ სცხელოდა: ის ახლა მხოლოდ შინაურებზე ფიქრობდა...

— დედა, დედიკო, როდის მოხვალ?—ჩუმად ჩურჩულებდა მისი ფერმკრთალი ტუჩები, თვალები-კი სამზარეულო სახლის კარებს მისჩერებოდა:—აი ახლა გაიღება და დედიკო გამოვა...

უცებ ნუცას მოაგონდა, რომ დედას კამოდის სულ ქვედა უჯრაში სადღესასწაულო ვაშლები ჰქონდა შენახული. იმ წამსვე უჯრასთან გაჩნდა, მაგრამ უჯრა მაგრად დაუხვდა დაკეტილი... ნუცა არ შედრკა. მარდად დატრიალდა ოთახში გასაღების საპოვნელად, სულ გადაატრიალა ბალიშები, საბნები, ლეიბი, მაგიდის უჯრა, ტახტი'ს ქვეშაც-კი შეიხედა, მაგრამ ამაოდ: გასაღები ვერსად იპოვა.—ალბად დედამ თან წაიღო,—სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა ნუცამ და ღონე-მიხდილი, დასუსტებული უჯრის წინ იატაკზე დაჯდა...

ამ დროს შემთხვევით თვალი მოჰკრა ვაშლიანი უჯრის ზემოდ მოთავსებულ უჯრას; ეს უჯრა მუდამ დაუკეტავი იყო, რადგან კლიტე გატეხილი ჰქონდა... ნუცა წამოხტა, სწრაფად გამოიღო ზედა უჯრა, ჩაჰყო იქიდან ხელი ქვედა უჯრაში და საუკეთესო წითელი ვაშლი ამოათრია...

უჯრა ისევ თავის ადგილას შედგა, თვითონ-კი სარბად შეუდგა ვაშლის ჭამას...

ჯერ ნახევარი ვაშლიც არ ექნებოდა შეჭმული ნუცას, რომ

იგრძნო მეტი ჯამა აღარ შეეძლო: ებიის ძვლები ასტკივდა და გულის რევა იგრძნო.

რა უნდა ექნა? მოგბეზილი ვაშლის შენახვა ხომ ეოვლად შეუძლებელი იყო: დედა ნახავდა და ნუცას ქურდობაც გამოაშკარავდებოდა; ეს-კი ნუცასათვის სიკვდილი იყო...

ამ დროს გარედან ფეხის ხმა და ლაპარაკი მოისმა—შინაურები მოდიოდნენ...

— ვაიმე, დედაო,—ერთი წამოიძახა ნუცამ, სწრაფად მივარდა ფანჯარას, გააღო და რაც ძალა, და ღონე ჰქონდა, ვაშლი ბაღჩაში გადაისროლა... ნუცა დარწმუნებული იყო ვაშლი მაგრად ჩაეფლებოდა თოვლში და მისი გზა-კვალიც საძუდამოდ დაიკარგებოდა...

II

გათენდა შობა. ნუცა კოპწიად გამოწყობილი ახალ კაბაში მხიარულად დაკუნტრუშობს ოთახში თავის და-ძმებთან ერთად და საშინლად უსარიან, რომ ახლა უველანი მასთან არიან და მარტო აღარ არის... ნუცა ხან ერთ ფანჯარასთან მიირბენს, ხან მეორესთან და სარბად იცქირება გარედ... მის ბედნიერებას ახლა მხოლოდ ამ მშვენიერ მზისაგან გაბრწყინვებულ თოვლში ერთი განავარდება-ღა აკლია.. აი, ნუცა იმ ფანჯარასთანაც მივიდა, საიდანაც წუხელის ვაშლი გადაისროლა... იმ წამსვე მთელ ტანში სიცხე იგრძნო და მუხლებმა კანკალი დაუწყო...

წითელი ვაშლი, თითქოს ვიღაცას დაჰკარგვიაო, ლამაზად იდო თოვლის ზედა პირზე: ეტყობოდა გაუინულ თოვლს ვერ ჩაეძირა ვაშლი.

მთელი დღე მწუხარებაში გაატარა ნუცამ, აი ახლა დაინახავენ ვაშლს და აი ახლაო, და როცა ეისმეს იმ ფანჯარას-

თან გაგლილს დაინახავდა, გული საშინლად უცემდა... ამ დღიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში, სანამ თოვლი დადნებოდა, ეს ვაშლი გამოუთქმელად სტანჯავდა ნუცას: წითელი, ახალ-მოწუგეტილივით გაღაქღაქებული, მუდამ თოვლის ზედა ჰირზე იდო და არ იძირებოდა...

ნუცა დარწმუნებული იყო — დღეს, ან ხვალ ამ ვაშლს უთუოდ დაინახავენ შინაურები და უველანი გაიგებენ, რომ მე ვაშლი მოვიპარეო; ვაშლის აღება და სადმე შორს გადაგდება კი ვერ მოეხერხებინა, რადგან სასტიკად ჰქონდა აკრძალული გარედ გამოსვლა.

ლეო იმნაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზუნა.

ახა კარგა დააკვირდით ამ სურათს. შგონი ვერცა-კი გამოიცნოთ თუ რა ცხოველია აქ დახატული! საკვირველიც არ იქნება ეს, რადგანაც ზაზუნა, თუმცა კურდღლის ჯიშისაა, ისეთი მაღალი მთების ცხოველია, რომ ადამიანი, მეტადრე ბარში მცხოვრები, იშვიათად ხვდება მას. მეტად მალსაზი ცხოველი კია ზაზუნა და კიდევაც ამიტომ მინდა გაგაცნოთ.

ზაზუნა დიდი არ არის: აი, გადაზომეთ თქვენი ბაწია ხელით ოთხი მტკაველი, და ეს იქნება მისი სიგრძე. ახლა დაუენეთ ეირაზე ეგეგეგ მტკაველი და ეს სიმაღლე იქნება. გამოდის, რომ ზაზუნა კურდღლის ტოლა ეოფილა, ოღონდ იმაზე უფრო ბუნჩულაა და მოკლე ფეხები აქვს.

ზაზუნა ცხოვრობს ისეთ მაღალ მთებში, სადაც ტყეც აღარ იზრდება სიცივის გამო, მაგრამ ბალახი-კი კარგი მოდის საფხულში. ასეთ ადგილებს იმიტომ ეტანება ზაზუნა, რომ ბალახი მისი საყვარელი საჭმელია. რადგანაც მაღალ მთებში ზამთარი ძლიერ ადრე დგება და ყველაფერი თოვლით იფარება, ზაზუნა, რომ შიმშილით არ მოკვდეს, შემოდგომის გასვლაზე სთხრის ურძელ, ღრმა სოროს, აგებს შიგ რბილად თივას, ჭკეტავს ქვებითა და ბალახით სოროში შესასვლელ კარებს და ზაფხულამდის ხანგრძლივ ძილს ეძლევა; ხშირად 7—8 თვეს სძინავს, რის გამოც, ზაფხულში რომ იღვიძებს, ძლიერ მჭლე და გამხდარია ხოლმე. ზაზუნები ცხოვრობენ სოროებში ხან წყვილ-წყვილად, ხან 10—15 სული ერთად.

დედალი ზაზუნა აჩენს 2—4 შვილსა. ხორცი ეემრიელი აქვს ზაზუნას ამიტომ მთიელი მონადირენი ხშირად ნადირობენ მასზე. ცოცხლად დაჭერილი ზაზუნა ძლიერ ადვილად შინაურდება და ყველაფერ თავ-შესაქცევ თამაშობასაც ადვილად სწავლობს. აი ახლა მინდა გიამბოთ ერთ ასეთ ნასწავლ ზაზუნას თავ-გადასავალი.

ზაზუნას და საოელი ბიჭის ამბავი.

იყო ერთი საწყალი საოელი ბიჭი. საოელები ფრანგები არიან და ცხოვრობენ საოიას მაღალ მთებში, შვეიცარიის მეზობლად. ჩვენი საოელი ბიჭი ღარიბი იყო, მაგ-

რამ თავის სამშობლოს ლამაზი მთები მაინც ძლიერ უყვარდა და ამიტომ ყოველ დღე დაიარებოდა იქ. ამავე მთებში ცხოვრობდნენ ზაზუნები და ამათაც ძლიერ უყვარდათ თავიანთი მთები, მუდამ იქვე ახლო-მახლო სძოვდნენ ბალახს და შეჩვეულ სოროებს არ შორდებოდნენ.

მოდის ერთხელ საოელი ბიჭი თავისი ძაღლით, ხედავს: გამოსულა ზაზუნა და უდარდელად თბება მზეზედ. ხხვა

ზაზუნებმა, დაინახეს ძაღლი და ბიჭი თუ არა, დაიწყეს აჩქარებით ფრუტუნი, რომ ეველა ზაზუნებს გაეგოთ და სოროებში დამალულიეყნენ. გაიგონა ეს ფრუტუნი უდარდელმა ზაზუნამაც; უნდოდა სოროსაკენ გაქცეულიეო, მაგრამ წინ საეოელის „წუკა“ გადაეღობა და დაიჭირა...



— წუკა! არ უკბინო, მოიევა აქ! — ძესძახა საჩქაროდ საეოელმა ბიჭმა ძაღლს.

წუკა მიხვდა ბატრონის ბრძანებას — არ უკბინა და მაშინვე საეოელს მიჰყვარა. საეოელმა ჩასვა ზაზუნა ჰარკში, წამოიკიდა ზურგზე და წამოეიდა შინისაკენ.

მოეიდა საეოელი შინ, გამოიტანა ეუთი, ჩასვა შიგ ზაზუნა, დახურა თავი და წაეიდა. ზის ზაზუნა ეუთში, კანკალებს, გული ძალზედ უცემს და სულ კუთხისაკენ შეიწყეს. ჰგონია, მოეა საცაა ის ბოროტი ძაღლი და დამიჭერსო. დიდ ხანს იეო ასე. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ეუთში მას არავინ არაფერს ერჩის, გული დაიმშვიდა და დაფიქრდა: — მოაგონდა, რომ ციალას აქეთ არაფერი უჭამია, არა დაულეეია-რა, და დაღონდა... მოაგონდა თავის საამშობლოს მთები, სადაც ასე ბლომად იეო მისი საევარელი ბალახი, — მოაგონდა თავისი ტოლებიც, რომლებთანაც ისე მხიარულად თამაშობდა, — მოაგონდა ეველაფერი ეს და ცრემლები გადმოსცვიედა.

ამასობაში დაბრუნდა საგოელი ბიჭი, ახადა ეუთს, ხელი გადუსო ზაზუნას ალერსიანად და ბალახი დაუყარა. მერე დაუდგა ჯამით წყალი და ისევ წავიდა. ზაზუნა ახლა-კი სულ დამშვიდდა, შეჭამა ბალახი, დალია წყალი, როგორც ეს ქათმებმა იციან, წულის დალევის დროს ღმერთს რომ შეხედავენ ხოლმე, მერე მოიკუნტა ბალახზე და მიეცა ისევ ფიქრსა: რა კეთილი ბიჭი ეოფილა ეს საგოელი, წეღან ძაღლის კბილებისაგან დამიხსნა და ახლა რამდენი ბალახი მოშიტანაო!? კიდევ უნდა რაღაცაზე ეფიქრა, მაგრამ თვალები მიელულა და დაეძინა.



გაიღვიძა ზაზუნამ და ხედავს: ეუთთან საგოელი ზის და უყურებს იმას.

ჰკითხა საგოელმა:

ზაზუნავ! გინდა გაჭამო კიდევ ბალახი? — ისევ წავიდა საგოელი, მოუტანა ახალი ბალახი და თხის რძე. შეექცა ზაზუნა ყველაფერს, დიდად იამა და ის იყო და ის, რომ უსაგოელოდ სიცოცხლე სიცოცხლედ აღარ მიაჩნდა, სულ უნდოდა, რომ იმასთან ეოფილიყო, მისთვის ეცქირნა თვალებში, მისი კეთილი ხმა გაეგონ. შეუყვარდა ზაზუნას საგოელი ბიჭი; შეუყვარდა ისიც საგოელსა, რადგან ასეთი მორჩილი და ჭკვიანი ცხოველი გამოდგა...

რა დაინახა საგოელმა, რომ ზაზუნა სრულიად მიეჩვია, მოშინაურდა, რომ ის ახლა აღარსად წავა, ამოიყვანა ეუთიდან და გვერდზე მოისვა. მაგრამ ზაზუნა არა დგებოდა, ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუთისკენ იწევდა, რადგანაც იქვე ახლო ძაღლი იწვა და ზაზუნას ეგონა, რომ ის ახლაც დამიჭერსო. შეატეო სავოელმა, რომ ზაზუნას ძაღლის ეშინიან. დასვა ზაზუნა ძაღლის წინ, დაადო ორივეს ხელები თავზე და უთხრა წუკას:

— წუკა! იცოდე, ეს ზაზუნა ახლა ჩვენია; ეს გარეული ადარ არის, ეს ახლა შინაურია; ვინ-ი ადარ ახლო, გესმის!?

წუკა მიხვდა, რასაც ვატრონი ეუბნებოდა, მივიდა, უსუნა ზაზუნას, გარს შემოუარა და ისევ ზაზუნას ვირის-ვირ დასკუვდა.

ეს იეო და ეს, რომ წუკა ზაზუნას ადარაფერს ერჩოდა, ზაზუნასაც ადარ ეშინოდა ძაღლისა და ცხოვრობდნენ სამნიენი, როგორც კარგი ძმები და მეგობრები; სავოელი ბიჭი საზრდოს შოულობდა, წუკა სახლს დარაჯობდა და ზაზუნაკი სწავლობდა და ართობდა ორივეს სხვა-და-სხვა თამაშობით.

— ზაზუნა, მოდი აქ! — ეტეოდა სავოელი.

ზაზუნა მოვიდოდა.

— ზაზუნა, დადექ უკანა ფეხებზე!

ზაზუნა დადგებოდა.

— ზაზუნა, დაიჭირე ჯოხი!

ზაზუნა აიღებდა ჯოხს, დადგებოდა უკანა ფეხებზე და დაიჭერდა.

— ზაზუნა, აი, დაიჭირე ქუდი!

ზაზუნა ჩამოართმევდა ქუდს, დადგებოდა უკანა ფეხებზე და დაიჭერდა.

— ხაზუნავ, დაწექ ზურგზე!

ხაზუნა დაწვებოდა...

ეველაფერს ასე უგონებდა ხაზუნა საკოელ ბიჭს და ძალიანაც უეკარდა, როცა საკოელი ასწავლიდა, რადგანაც იგი თავის დღეში არ უჯავრდებოდა: ბირ-იქით ეველაფერს ალერსით ასწავლიდა. ხაზუნაც მხიარულად იყო, სულ თვალებში შესცქეროდა საკოელს და სცდილობდა იმის აზრი გაეგო და აესრულებინა...

გაათავა ხაზუნამ სკოლა, ისწავლა ცეკვა, რკალში გახტომ-გამოხტომა, თავზე გადატრიალ-გადმოტრიალება, გაქცევა-გამოქცევა, დაწოლა, ადგომა, ჯოხის ჭერა, მხარზე გადება, ქუდის დახურვა, ქუდის მოხდა, თავის დაკვრა, ფულის თხოვნა...

— ახლა დროა სოფელში და ქალაქებში წავიდეთ,—უთ-

ხრა ერთხელ საკოელმა ბიჭმა თავის მეგობრებს,—შენ, ჩემო წუკა, ჩვენი ბატარა საგძალი ხიდე, შენ-კი, ხაზუნავ, ჭეეანა,

შეაქცია; არ კი შემარცხვინო: ეჯელაფერი, რაც გიბრძანო, კარგად შეასრულე...

სთქვა ეს თუ არა, საგოელმა შეისვა ზაზუნა მხარზე, და გაუდგა წუკათი გზას.

მივიდნენ ქალაქს. შევიდა საგოელი ეზოში, დაუკრა დუდუკი და გაუშვა ზაზუნა საცეკვაოდ. გამოცვივდა დიდი და პატარა, შემოეხვივნენ გარშემო და დაუწყეს ცქერა თამაშს. ბალღების სიცილს და მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა:

— რა კარგია, რა ჭკვიანია, რა საასაცილოა!—ამბობდნენ ყველანი.

ბოლოს, მისცა საგოელმა ზაზუნას ქუდი და უთხრა:

— აბა, ჩემო ზაზუნა, თავი დაუკარ პატიოსან საზოგადოებას და სთხოვე ფული თავის შექცევისა და ჩვენ გარ-

ჯისათვის. ზაზუნამ გამოართვა ქუდი, დადგა უკანა ფეხებზე, დაუკრა ყველას თავი და გაუშვირა ქუდი წინა ფეხებით ფულისათვის.

ჩაუყარეს—ვინ ფული, ვინ ჰური, ვინ შაქარი... საგო-ელმა ჰური ზაზუნაზ და წუკას აჭამა, შაქარი და ფული-კი თითონ ჩაილაგა ჯიბეში და ახლა მეორე ეტაპზე წავიდა.

ასე და ამ გვარად დადიოდნენ სამნივე ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფლში, ართობდნენ ქვეყანას და შოულობდნენ ჰურსა და ფულს...

ივ. როსტომაშვილი.

მესამე №-ში მოთავსებულ გასართობების ალნა:

შარადა: ბუხარი.

ამოცანა: ლომი, ლომი, ომი.

რებუსი: ხე მრუდე და ხე მართალი,
ხის წვერში ხუთი მარცვალი.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

1910 წ. ჟურნ. „ნაკადული“ საძოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან წება-დართულია ქართ. სკოლების ბიბლიოთეკებში სახმარებლად.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ თვიურ ჟურნალ

„განთიად“-ზე

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირეულ გაზეთ

„მინაურ საქმეებ“-ზე

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე **5 მან.**, გაზეთისა **4 მან.**, ორივესი ერთად **8 მანეთი.** სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურად 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

1913 წელში ჟურნალი **„განათლება“** ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. **ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები**

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და მის განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**. საზღ. გარ. **ექვსი მ.** ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა **თბილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან**; ქუთაისში—**ისიდორე კვიცარიძესთან**; ბათომში—წიგნის მაღაზია „განთიადში;“ ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ. ☆ რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი. ☆ **მისამართი**—Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе** რედ.-გამომც. **ლ. გ. ბოცვაძე.**

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეცხრე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ აირჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ⁄ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერ. �el მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთ განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“-ს** სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოდოვინ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ფუეხაშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—იგანე გლადგოვთან და ვდ. ნაცვლიძესთან. **ფოთში**—ოვოფვიდე კახიანიძესთან. **ბათომში**—კნ. სოფეთ ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია დომინაძესთან. **ოზურგეთში** ⁄ **ლანჩხუთში**—დეო იმნაძესთან. **თელავში**—ვასო ჭაკაშვილთან. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიავაშვილთან. **გორში**—ნინო დოლაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნალში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. სალთაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თავ. **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი**